განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

24 დეკემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია - 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 11.04.2011 N255

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად სფეროებში არსებული თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით და, ასევე, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო კომპეტენციებით. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტების მომზადებას კონკრეტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და თანამედროვე გლობალური საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისათვის.

240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) ძირითადი სწავლის სფერო (165 ECTS), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსების ბლოკს (105 ECTS) და ფსიქოლოგიის არჩევითი კურსების ბლოკს (60 ECTS). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ორი მოდულის – კლინიკური ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის – სახით; (ბ) თავისუფალი კომპონენტი – ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულების სახით, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (75 ECTS). ამასთან, სტუდენტს კურსების არჩევა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდანაც შეუძლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის ან საბაკალავრო ნაშრომი

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 9 ნოემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა და ვირტუალურად დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფსოქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა“ მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს, შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან, ხოლო ნაწილობრივ შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

2.2

- გაიზარდოს სამი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“, „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“.
- სამი კურსი – „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ – გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.
- პროგრამას დაემატოს კვლევითი ნაშრომის კურსი ან საბაკალავრო ნაშრომი, ან ნებისმიერი დასახელების კურსი, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ/დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევით უნარებსა და პროფესიული კომუნიკაციის (წერილობითი/ზეპირი) უნარებს.

2.3

- (ქვემოთ და **2.2** ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიაში წარმოებული ემპირიული კვლევისა და მისი მდგენელების (პროცესის, ეთიკისა და ცალკეული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების) შესახებ, ისე – კურსის ფარგლებში განხილული მეთოდების გამოყენების ბაზისურ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
- კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე – საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.
- (ქვემოთ და **2.2** ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „პიროვნების ფსიქოლოგია“ მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეიძინოს სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები.
- (**2.2** ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსისა და სწავლის შედეგებისა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეძლოს სამეცნიერო/აკადემიური წერის ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამისათვის რეკომენდებულია აღნიშნული კურსის მოდიფიცირება ან ორ დამოუკიდებელ კურსად („აკადემიური წერა“ ცალკე და „ფუნქციური წერა“) ჩამოყალიბება, რომელთაგან პირველი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა, ხოლო მეორე -- არჩევითი სტატუსით დარჩება პროგრამაში.
- (**2.2** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინების პირობებში) კურსის შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ შესაბამისობაში იყოს დარგში არსებულ თანამედროვე ცოდნასთან, მიღწევებთან და ემპირიული კვლევების შედეგებთან.
- გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და საჭიროების შემთხვევაში (ა) ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით

ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით; (ბ) სტუდენტებს სავალდებულო საკითხავად მიეცეს ოპტიმალური საკითხავი მასალა, რომელიც რეალურად მისცემს მათ იმ ბაზისურ ცოდნას, რომელიც შემდგომი ცოდნის დაგროვების/შექმნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის არის საჭირო; (გ) დაზუსტდეს და ჩასწორდეს სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგია.

2.4

- პროგრამის კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებით გამდიდრება, იქნება ეს არსებული კურსების მოცულობის გაზრდა თუ ახალი კურსების დამატება (იხ. **2.2** და **2.3** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები);
- კვლევითი ნაშრომის კურსის, საბაკალავრო ნაშრომის, ან მსგავსი კურსის დამატება პროგრამის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტების ჩამონათვალში, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ თეორიულ ცოდნას, კვლევის, საქმიანობისა და წერილობითი ნაშრომის შექმნის ბაზისურ უნარ-ჩვევებს და დაადასტურებს სტუდენტის კომპეტენტურობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით (იხ. **2.2** და **2.3** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები).

4.1

- გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
- უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს.

- **რჩევები**

1.2 პროგრამის გაუმჯობესებისათვის სასურველია, რომ: პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს როგორც პროგრამის ამ კომპონენტის სპეციფიკა, ისე მისი შესწავლით უკვე მიღწეული შედეგები (შეფასებები)

5.1

- გაუმჯობესდეს პროგრამის განმახორციელებელთა კონსულტირების ხარისხი, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მათ შორის, კრედიტის, მისი შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის განსაზღვრა, განსაზღვრის სისწორის შემოწმების მნიშვნელობა და ა.შ.).

5.2

- პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას.

5.3

- განხორციელდეს პროგრამის დადარება საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს მათთან თანხვედრის (მსგავსებისა და განსხვავებების დადგენა) დადგენას და ამის შესახებ პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების (მათ შორის, მობილობის მსურველების) ინფორმირებას.

- **საუკეთესო პრაქტიკა**

2.3

- ბაკალავრიატის სტუდენტებთან სტატისტიკის ბაზისური კურსი ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარ-ფსიქოლოგს მიჰყავს, რაც სტუდენტებისთვის ფსიქოლოგებისთვის საჭირო კუთხით ამ საგნის წარმატებით მიწოდების წინაპირობას წარმოადგენს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად სფეროებში არსებული თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით და, ასევე, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო კომპეტენციებით. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტების მომზადებას კონკრეტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და თანამედროვე გლობალური საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისათვის.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ფაქტობრივად, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა ორიენტირებულია კონკურენტიანი კადრების მომზადებაზე შრომის ბაზარზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, თავისი მიზნებით, შინაარსითა და სწავლის შედეგებით, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს შედეგებით. საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც ინტერვიუებმაც დაადასტურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- უსდ-ის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და აღწერს იმ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელსაც ფლობს პროგრამის კურსდამთავრებული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მდგენელი ორი მოდულისგან/კონცენტრაციისგან შედგება (თითოეული 30 კრედიტის ოდენობით) (ასევე, იხ. 2.2 ქვესტანდარტი), რომელთა სწავლის შედეგები დეტალურად არის გაწერილი პროგრამის შესაბამის ნაწილში.

პროგრამის შეფასება ხორციელდება ამ მიზნით შემუშავებული გეგმის საფუძველზე და მოიაზრებს შეფასებას როგორც არაპირდაპირი, ისე პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება დაინტერესებული მხარის (დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, სტუდენტი, პერსონალი) აზრის შესასწავლად პროგრამის განხორციელების, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ხარისხის შესახებ და გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებერივი ინსტრუმენტების გამოყენებას, მათ შორის გამოკითხვებს დასაქმების ან/და სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის შესასწავლად, პროგრამიდან განთესვისა და გადმოსვლის ან/და სტუდენტთა მიღების მაჩვენებლების დასადგენად. პირდაპირი შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად მოიაზრება სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისობა სამიზნე ნიშნულთან.

დაწესებულებში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დანართის „სწავლის შედეგების შეფასება“ საფუძველზე აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის შექმნილი დოკუმენტით (საანგარიშო პერიოდი 2019-2020) თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები (სასწავლო კურსი/სხვ.), შეფასების პერიოდი (2019-2020 წელი), შეფასების მეთოდი (გამოკითხვა, პრეზენტაცია, სხვ.), სამიზნე ნიშნულები (ქულა) და სტუდენტთა რაოდენობა (%), რომლებიც ამ შედეგს მიაღწევენ. ასევე, დოკუმენტში მითითებულია მიღწეული შედეგის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ:

- სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. თუმცა, სასწავლო კურსების განსხვავებული სპეციფიფიკის მიუხედავად, თითოეულის სამიზნე ნიშნულები არის უნიფიცირებული და გულისხმობს სტუდენტთა 51%-ის მიერ 70< ქულის მიღებას. ასევე, განსაზღვრულია პროგრამის შეფასების შედეგების საპროგნოზო მაჩვენებელი (2021-2022, 2022-2023, 2023-2024);

- პროგრამის შედეგების მიღწევის მოლოდინი გამომდინარეობს ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებლებიდან. თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 7) თანახმად, ბოლო 5 წლის საშუალოარითმეტიკული მაჩვენებელი შეასგენს 100 - 71 ქულა – კურსდამთავრებულთა 76%; 61-70 ქულა – კურსდამთავრებულთა 24%; 51-60 ქულა – კურსდამთავრებულთა 0%. თუმცა, პროგრამით დადგენილ ვადაში პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა (%) შეადენს, მაგ., პროგრამის პირველი მიღების შემთხვევაში – 41%-ს (დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი – 26; სტატუსშეჩერებული 2 და სტატუსშეწყვეტილი 9 სტუდენტი; კურსდამთავრებული – 14), პროგრამაზე მეორე მიღების შემთხვევაში – 45%-ს (დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა – 39; სტატუსშეჩერებული 5 და სტატუსშეწყვეტილი 12 სტუდენტი; კურსდამთავრებული – 21). აქვე აღსანიშნავია, რომ მითითებული პროგრამის დასრულების (შესაბამისად, დაგეგმილი შედეგების მიღწევის) მაჩვენებელი გარკვეულწილად განპირობებული სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობით.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის კომპონენტების შემთხვევაში მიღწეულ შედეგებზე დაკვირვება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება მიმდინარეობის სისტემატურად (ყოველწლიურად),სამიზნე ნიშნულებსა და მიღებულ შედეგებს შორის ცდომილება წარმოადგენს შესწავლის საგანს; ხდება მიზეზების დადგენა და რეაგირება (თუ მიზეზი ამის საჭიროებას მოითხოვს). ზოგადად, სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოიცვს 3-წლიან ციკლს და გულისხმობს ამ პერიოდის განმავლობაში სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებას, დინამიკის შესწავლას და უკვე ამის საფუძველზე სამიზნე ნიშნულების კორექტირების საჭიროების დადგენასა და ახალი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება წარმოადგენს პროგრამის შედეგების (შესაბამისად, მიზნების) მიღწევის დადასტურების ობიექტულ რაოდენობრივ ინდიკატორს, პროგრამის შედეგების შეფასება მოიცავს ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და წარმოადგენს პროგრამის შეფასების პროცესის შემადგენელ ნაწილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამიზნე ნიშნულები (რუბრიკა „კურსდამთავრებულთა სამიზნე ნიშნულები“);
- პროგრამის კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებლები (თვითშეფასების ანგარიში);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის გაუმჯობესებისათვის სასურველია, რომ:

- პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს როგორც პროგრამის ამ კომპონენტის სპეციფიკა, ისე მისი შესწავლით უკვე მიღწეული შედეგები (შეფასებები)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. გარდა ამისა, პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე აბიტურიენტების მიღებას. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მართებული ინფორმაცია დროულად, შესაბამის პერიოდში ყოველწლიურად მიეწოდება და თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდსა და ცნობარში (რომელიც ყოველწლიურად ახლდება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით. სრულად შეესაბამება უსდ-ის მისიას და, ასევე, უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს ანუ 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) ძირითადი სწავლის სფერო (165 ECTS), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსების ბლოკს (105 ECTS) და ფსიქოლოგიის არჩევითი კურსების ბლოკს (60 ECTS). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ორი მოდულის – კლინიკური ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის – სახით; (ბ) თავისუფალი კომპონენტი – ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულების სახით, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით (75 ECTS). ამასთან, სტუდენტს კურსების არჩევა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამიდანაც შეუძლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კვლევითი ნაშრომის ან საბაკალავრო ნაშრომი (იხ. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების ნაწილი). პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული. უფრო კონკრეტულად, სტუდენტს ჯერ შეეთავაზება ის საბაზისო კურსები, რომლებიც ფუნდამენტურ ცოდნას აძლევენ მას ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, მაგალითად, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კოგნიტური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო კურსების ერთობლიობა, მეტწილად გადის პროგრამაში დეკლარირებულ სწავლის შედეგებზე, თუმცა ზოგიერთი სავალდებულო კურსის მოცულობა და/ან სავალდებულოს ან არჩევითის სტატუსი კითხვის ნიშნებს ბადებს (იხ. შესაბამისი რეკომენდაციები ქვემოთ). ამიტომ პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებების განხორციელება, მისი ოპტიმიზაციის მიზნით, რათა სრულად იქნეს მიღწეული დეკლარირებული შედეგები. შესაბამისად, აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი. პროგრამაში შედარებით სპეფიციკური, ჩაღრმავებული და მეტად ვიწრო საკითხებზე ფოკუსირებული კურსები (მაგალითად, გავლენის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, კონფლიქტოლოგია და ფსიქოსომატიკის), უპირატესად, არჩევითი კურსების სახით არის წარმოდგენილი და სტუდენტს საკუთარი ინტერესების მიხედვით ცოდნის გაღრმავებისა და კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებას აძლევს. აქვე უნდა ითქვას პროგრამაში წარმოდგენილი ორი მოდულის შესახებ, რომელიც სოციალური ფსიქოლოგიისა და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით თემატურად გაერთიანებულ ბლოკებს წარმოადგენს, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევის საშუალება აქვს სტუდენტს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. თითოეული მოდული შესაბამისი შინაარსის მქონე, ვიწროდ სპეფიციკური და ჩაღრმავებული კურსებით არის შექმნილი, რასაც სტუდენტი პროგრამაში გაწერილ სწავლის შედეგებამდე მიჰყავს. ასევე, აღსანიშნია არჩევითი კურსების ფართო სპექტრი, რაც სტუდენტს აძლევს მრავალფეროვანი ინტერესის დაკმაყოფილების საშუალებას. აღნიშნული სტრუქტურა, წარმოდგენილი სახით როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, მათ შორის, შინაარსითა და სირთულის დონით, მეტ-ნაკლებად შეესაბამება ფსიქოლოგის საბაკალავრო პროგრამისთვის მოთხოვნილ კრიტერიუმებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს მასში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა **2.2, 2.3** და **2.4** ქვესტანდარტების შესაბამის სექციებში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების

პირობებში ის შესაბამისობაში მოვა და სრულად დააკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, წარმოდგენილი პროგრამა, ერთი მხრივ, კარგად არის ორგანიზებული ზოგადი სტრუქტურის თვალსაზრისით: მოიცავს ყველა მსხვილ კომპონენტს (ესენია: სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსები, ორი თემატური მოდული, თავისუფალი კრედიტები), რომელიც უნდა იყოს მოცემული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, თუმცა მასში ამჟამად (ა) არ არის ზოგიერთი მდგენელი, მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი ნაშრომი (ის კურსი/აქტივობა, რომელიც შეაჯამებდა სტუდენტის მიერ 7 სემესტრის განმავლობაში შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ/კვლევით უნარებს) და (ბ) წარმოდგენილი ზოგიერთი კურსის მოცულობა, შინაარსი და სტატუსი მოდიფიცირებას საჭიროებს. აღნიშნული გახდა ქვემოთ (და **2.3** ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში) წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი.

პროგრამაში შეტანილი თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს უფრო ზოგადი, ბაზისური კურსების მიწოდებას (მაგალითად, ფსიქოლოგიის საფუძვლები, სოციალური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია), რომლებზეც შემდეგ დააშენებს სტუდენტი უფრო სპეფიციკურ ცოდნას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა პათოფსიქოლოგია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ან რეკლამის ფსიქოლოგია). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა აგებულია პრინციპით ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისკენ, რაც სტუდენტს, ყოველი შემდეგი კურსის არჩევით, საშუალებას აძლევს, ეტაპობრივად, თანდათანობით გაიფართოვოს და, ამავდროულად, გაიღრმავოს ცოდნა ფსიქოლოგიის მიმართულებით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი მეტ-ნაკლებად (იხ. **2.3** ქვესტანდარტის რეკომენდაციების შესაბამისი ნაწილი ლიტერატურასთან დაკავშირებით) ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, მხოლოდ ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ ახალ კვლევებსა და წყაროებს.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხს 2.2 ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ. პირველი რეკომენდაცია ოთხი სასწავლო კურსის მოცულობის გაზრდას შეეხებოდა, რომელთაგან ორ კურსთან მიმართებით (კოგნიტური ფსიქოლოგია, და სოციალური ფსიქოლოგია) გაზიარებულ იქნა რეკომენდაცია, დანარჩენ ორთან მიმართებით კი (ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები და პიროვნების ფსიქოლოგია) -- არა. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პოზიცია ნაწილობრი გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, კერძოდ, რეკომენდაციაში დასახელებული კურსების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა კურსი „პიროვნების ფსიქოლოგია“. შესაბამისად, რეკომენდაციამ ქვემოთ მოცემული სახე მიიღო.

მეორე რეკომენდაცია ოთხი კურსის სავალდებულოდან არჩევითი საგნების ჩამონათვალში გადატანას შეეხებოდა. ეექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა უსდ-ის არგუმენტი „განათლების ფსიქოლოგიის“ კურსის სავალდებულო კურსთა ჩამონათვალში დატოვებასთან დაკავშირებით, თუმცა ვერ გაიზიარებს არგუმენტს „სოციოლოგიის შესავალთან“ დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ იზიარებს რეკომენდაციის ნაწილს, რომელიც პათოფსიქოლოგიის ორივე კურსს შეეხება. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციამ ქვემოთ მოცემული სახე მიიღო.

მესამე რეკომენდაცია აკადემიური წერისა და ინგლისური ენის კურსების სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გადატანას შეეხებოდა. უსდ-ს პასუხში აღნიშნულია, რომ ეს კურსები ისედაც სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია, თუმცა „თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებში.“ თუ ამ პირობით სტუდენტებისთვის სავალდებულოა აღნიშნული კურსების გავლა, მაშინ ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია უსდ-ის პოზიცია. შესაბამისად, რეკომენდაცია მოიხსნა.

მეოთხე რეკომენდაცია პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის ან კვლევითი ნაშრომის დამატებას

გულისხმობდა. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის პოზიციას აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: **სავალდებულო კურსების მოცულობა** • პროგრამაში წარმოდგენილია თითქმის ყველა აუცილებელი სავალდებულო კურსი, რომელიც ფსიქოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის არის საჭირო, თუმცა ისეთი საფუძვლად მდებარე კურსები, როგორებიცაა „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ ერთ სემესტრიანი (5 კრედიტი) საგნის სახით არის მოცემული მაშინ, როცა ეკვივალენტურად მნიშვნელოვანი კურსები -- „განვითარების ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ -- ორსემესტრიანი სასწავლო კურსებია. ასევე, აღნიშნული სამი კურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის თანამედროვე განვითარების კონტექსტში მაშინ, როდესაც კოგნიტური ნეირომეცნიერება უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს ფსიქოლოგიაში და, ამასთანავე, ადამიანის ფაქტობრივად ნებისმიერ ქცევა სოციალური კონტექსტისგან განუყოფელია, კლინიკური დიაგნოსტირების სფეროდან დაწყებული და ორგანიზაციული ქცევით დამთავრებული. ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილია სოციალური ფსიქოლოგიის მოდული, რომელშიც შემავალი ყველა კურსის საყრდენს, შესაბამისად, სოციალური ფსიქოლოგია წარმოადგენს. რაც შეეხება კვლევის მეთოდების კურსს, რომელიც საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი ბაზისური კურსია, ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ფსიქოლოგებისთვის აუცილებელი ძირითადი კვლევის მეთოდების ისე დაფარვა, რომ კურსი სწავლის შედეგებზე გავიდეს (ასევე. იხ. **2.3** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაცია) ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გაიზარდოს სამი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“, „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“. **სავალდებულო და არჩევითი კურსების სტატუსი** • პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არის წარმოდგენილი ისეთი კურსები, როგორებიცაა „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“, რომლებიც ვიწრო სპეციალიზაციის, ჩაღრმავებულ კურსებს წარმოადგენენ და არასავალდებულო ხასიათს ატარებენ ფსიქოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის. ასევე, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არის მოცემული „სოციოლოგიის შესავალი“, რომელიც საერთოდ არ წარმოადგენს ფსიქოლოგიის არც ერთ მიმართულებას და, მით უმეტეს, საბაზისო კურსს. აღნიშნული კურსები ისეთივე ვიწრო სპეციფიკის და დონის კურსებია, როგორიცაა, ვთქვათ, არჩევითი კურსების ჩამონათვალში შეტანილი იურიდიული ფსიქოლოგია, გავლენის ფსიქოლოგია ან ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები. სოციალური ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტისთვის სრულიად არასაჭიროა, მაგალითად, ორსემესტრიანი პათოფსიქოლოგიის სავალდებულო კურსის გავლა, ან კლინიკური ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტისთვის განათლების ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსის შეთავაზება. აქედან დამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული სამი კურსი – „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ – გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.

ახალი სავალებულო კურსის დამატება

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს კვლევითი ნაშრომის კურსი ან საბაკალავრო ნაშრომი, ან ნებისმიერი დასახელების კურსი, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ/დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევით უნარებსა და პროფესიული კომუნიკაციის (წერილობითი/ზეპირი) უნარებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მეტ-ნაკლებად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

წარმოდგენილი პროგრამა, მოცემული სახით, ფაქტობრივად, მოიცავს თითქმის ყველა იმ კურსს, რომელიც სავალდებულოა თანამედროვე რეალობაში ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხისთვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, თუმცა ზოგიერთი დასახელებული კურსის მოცულობა კითხვის ნიშნებს ბადებს (იხ. ქვესტანდარტი **2.2** და შესაბამისი რეკომენდაციები). ამასთან, სავალდებულო კურსების ბლოკში არ არის წარმოდგენილი აკადემიური წერა, შემაჯამებელი ნაშრომი და სტატისტიკის დამოუკიდებელი კურსი. ასევე, ზოგიერთი კურსის სილაბუსი აჩვენებს, რომ შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად ეყრდნობა ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებს, უახლეს კვლევებსა და წყაროებს. ასევე, პროგრამის კურსების ნაწილი, მეტ-ნაკლებად მოიცავს პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების საკითხებს, რაც თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რაც შეეხება არჩევითი კურსების ჩამონათვალს, საკმაოდ მრავალფეროვანია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, უფრო სიღრმისეულად გაეცნოს

ფსიქოლოგიის როგორც მსხვილ მიმართულებებს (კლინიკური, სოციალური, განვითარების, ორგანიზაციული), ისე -- ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით მიიღოს ბაზისური ცოდნა (მაგალითად, კონფლიქტოლოგია, ფსიქოთერაპია და ნეიროფსიქოლოგია).

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთი კურსის სილაბუსში წარმოდგენილი წყაროები გადასინჯვასა და განახლებას საჭიროებს (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების სექცია). კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას, თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, ისინი ძალიან იშვიათად (ან საერთოდ არ) მოიხმარენ აღნიშნულ წყაროებს.

ყოველივე ზემოთ თქმულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების საფუძველი.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით, ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკის სწავლება ფსიქოლოგებისთვის, ვინაიდან კურსი, როგორც წესი, სტატისტიკის სპეციალისტს მიჰყავს ხოლმე და არა -- ფსიქოლოგს. აღნიშნული ვითარება სტუდენტებს სირთულეს უქმნის როგორც თავად დისციპლინისა და კონკრეტული საკითხების ათვისების (გადატვირთული ფორმულებისა და მათემატიკური აპარატით დატვირთულობის გამო), ისე -- სტატისტიკური მოცემულობებში ფსიქოლოგიური შინაარსის ჩადების თვალსაზრისით. ეს საკითხი გამორჩეულად არის მოგვარებული წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში (იხ. ქვემოთ „საუკეთესო პრაქტიკის“ სექცია).

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას 2.3 ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. პირველი რეკომენდაცია სხვადასხვა კურსის შინაარსის გადასინჯვის საჭიროებას შეეხებოდა. უსდ-ის პოზიცია არ არის გაზიარებული და აღნიშნული რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

რაც შეეხება საკითხავ ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, უსდ სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას და, შესაბამისად, რეკომენდაციაში ცვლილება არ მომხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- **კურსების შინაარსი**

წარმოდგენილ პროგრამაში ამჟამად შეთავაზებული ზოგიერთი კურსის შინაარსი (ასევე, იხ. **2.2** ქვესტანდარტის შესატყვისი რეკომენდაციები) შინაარსობრივი თვალსაზრისით საჭიროებს მოდიფიცირებას/განახლებას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისეთი ბაზისური, სავალდებულო კურსების შემთხვევაში, როგორებიცაა „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“, სტატისტიკის გამოყენება

ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით) და პიროვნების ფსიქოლოგია. ასევე, „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ და „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“ (იხ. **2.2** ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში მოცემული რეკომენდაციები).

- „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ (ასევე, იხ. ქვემოთ, რეკომენდაციები შინაარსთან და ლიტერატურასთან და **2.2** ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში რეკომენდაცია მოცულობასთან დაკავშირებით), რომელიც ბაზისური, სავალდებულო კურსია, არსებული ვერსიით კურსის მიზანია“ ემპირიული რაოდენობრივი ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნის შეძენა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავება“. ამასთან, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების აღწერაში ვკითხულობთ: „სტუდენტი შეძლებს როგორც აღწერითი, ისე ანალიტიკური ერთფაქტორიანი თუ მრავალფაქტორიანი ემპირიული თუ ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვას, კვლევის ადეკვატური მეთოდების შერჩევას/კითხვარის შემუშავებასა და კვლევის (საველე სამუშაოების) ჩატარებას.“

  აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ (ა) ერთსემესტრიანი კურსი ვერ გამოუმუშავებს სტუდენტს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციას როგორც თეორიული ცოდნის, ისე – პრაქტიკული უნარების თვალსაზრისით; (ბ) ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია კურსის სავალდებულო საკითხავად, ფაქტობრივად სოციოლოგიური კვლევის მეთოდებია, ხოლო წყარო „სალექციო კურსი -- ხელნაწერი“ რას მოიაზრებს, ბუნდოვანია და (გ) სილაბუსში აღწერილი კურსის შინაარსი ვერ მისცემს სტუდენტს დასახელებულ კომპეტენციებს, კერძოდ: სილაბუსის მიხედვით, პირველი ორი კვირა შესავალს ეთმობა, 3 კვირა (XI, XII და XIII კვირა) – ექსპერიმენტს (მაშინ, როცა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია დამოუკიდებელი სავალდებულო კურსადაა წარმოდგენილი), 2 კვირა (VIII და IX კვირა) – თვისებრივ კვლევას (მაშინ, როდესაც კურსის მიზანში მხოლოდ რაოდენობრივ კვლევაზეა საუბარი). რაც შეეხება საკუთრივ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, ფაქტობრივად, მხოლოდ 5 კვირა ეთმობა და დამოკიდებულებების საკვლევ ინსტრუმენტებზეა ფოკუსირებული, რომლებიც სოციოლოგიური კვლევისთვის არის განკუთვნილი. ამრიგად, რომ შევაჯამოთ, წარმოდგენილი კურსის დასახელება, მიზანი, შინაარსი, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება ერთმანეთს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია (ქვემოთ და **2.2** ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიაში წარმოებული ემპირიული კვლევისა და მისი მდგენელების (პროცესის, ეთიკისა და ცალკეული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების) შესახებ, ისე – კურსის ფარგლებში განხილული მეთოდების გამოყენების ბაზისურ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

- „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ერთსემესტრიანი სავალდებულო კურსია, რომელიც, ფაქტობრივად (ასევე, იხ. ქვემოთ, რეკომენდაციები ლიტერატურასთან დაკავშირებით), ორი კურსის – სტატისტიკისა და SPSS-ის – სინთეზს წარმოადგენს. ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია ბაკალავრიატის სტუდენტებმა ერთდოულად აითვისონ ეს ორი კურსი, განსაკუთრებით სტატისტიკა, რომელიც ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის (განურჩევლად პროგრამისა და უსდ-ისა).

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე – საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.

- „პიროვნების ფსიქოლოგია“ სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია წარმოდგენილი (ასევე, იხ. ქვემოთ ლიტერატურასთან დაკავშირებული და **2.2** ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში

წარმოდგენილი რეკომენდაცია) და სილაბუსში მრავალფეროვანი სწავლის შედეგებია აღწერილი, რაც, ფაქტობრივად, არარეალისტურია როგორც სავალდებულო საკითხავი მასალის მოცულობის, ისე კურსის ხანგრძლივობის (1 სემესტრი, 5 კრედიტი) გათვალისწინებით. კერძოდ, სილაბუსის შესწავლა აჩვენებს, რომ რეალურად სალექციოდ გამოყოფილია 14 კვირა, რომელთადან 3 კვირა შესავალსა და მეთოდების განიხილვას ეთმობა, 5 კვირა ფროიდის ფსიქოანალიტურ თეორიას უკავია და დარჩენილი თითო კვირა (იხ. ქვემოთ ლიტერატურის მოცულობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია) პოსტფროიდიანელებს, როჯერსის თეორიას, დასწავლის, კოგნიტურ და სოციალურ-კოგნიტურ მოდელებს ეთმობა.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსის „პიროვნების ფსიქოლოგია“ მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეიძინოს სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები.

- „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ თავისუფალი არჩევითი კურსების ჩამონათვალშია წარმდგენილი (იხ. **2.2** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციების სექცია), რომელიც ერთ-ერთი ბაზისური კურსის ფუნქციას უნდა ასრულებდეს სტუდენტებისთვის აკადემიური/სამეცნიერო წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის და სხვა კურსების ფარგლებში შესასრულებელი წერილობითი დავალებებისთვის ამზადებდეს. კურსი მიზნად ისახავს „სტუდენტმა თანმიმდევრულად აითვისოს წერის პროცესის ყველა სტადია, შეისწავლოს ტექსტის ორგანიზაციისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, უკეთ გააცნობიეროს აკადემიური ნაშრომისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და შეიმუშავოს წერის ორიგინალური, ნათელი და დახვეწილი სტილი.“

  (ა) აღნიშნული მიზანი, ფაქტობრივად, თეორიული ცოდნის მიღებასა და „წერის ორიგინალური“ სტილის შემუშავებაზეა ორიენტირებული, რაც იმთავითვე ეწინააღმდეგება აკადემიური წერის კურსის დანიშნულებას: სტუდენტმა აითვისოს სამეცნიერო ენით, დადგენილი წესების შესაბამისად გამართულად, ცხადად წერის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. აკადემიური წერის კურსი უნიკალური სტილის შემუშავებას (რაც მხატვრული წერის სფეროში შეიძლება იყოს მიღწევადი) ვერ შეუწყობს ხელს.

  (ბ) კურსის დასახელებაში ფიგურირებს კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა, თუმცა შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ სტუდენტები არ სწავლობენ კრიტიკული ესეს წერას და არც სხვა რომელიმე აქტივობაა მიმართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.

  (გ) წარდგენილი კურსის შინაარსი აკადემიური წერისა და ფუნქციური წერის ელემენტების კომბინაციას წარმოდგენს, რაც, ასევე, გადის აკადემიური წერის კურსის ფარგლებიდან, მაგალითად, საქმიანი ქაღალდების (ახსნა-განმარტება, მინდობილობა, ხელწერილი, რეკომენდაცია, CV) წარმოება მნიშვნელოვანი უნარია, თუმცა ეს არ არის აკადემიური წერა.

  (დ) სილაბუსის შესწავლა კურსის შინაარსის თანმიმდევრულობასთან დაკავშირებითაც აჩენს კითხვებს. მაგალითად, სტუდენტებს V კვირას შუალედური შეფასების სახით უწევთ არგუმენტირებული ესეს წერა, თუმცა მანამე დაფარული საკითხები არ მოიცავს არგუმენტირებული ესეს წერის სწავლებას (თეზისის წერის გარდა). ამასთან, სტუდენტები მეხუთე კვირაზე არგუმენტირებულ ესეს წერენ შეფასების მიზნით და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობენ ეფექტური წინადადების აწყობას (IX კვირა), შესავალი, გარდამავალი და დასკვნითი აბზაცების წერასა (VI-VIII კვირა) და არგუმენტაციას (XIV კვირა), რაც არათანმიმდევრული და არალოგიკურია.

  (ე) სილაბუსიდან ბუნდოვანია, რა ტიპის სავარჯიშოებს ასრულებენ სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობასა და საშინაო დავალებად (რა იგულისხმება თხზულების დაწერასა და ტესტში?).

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია (**2.2** ქვესტანდარტში მოცემულ შესაბამის რეკომენდაციასთან კომბინაციაში) კურსის „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსისა და სწავლის შედეგებისა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეძლოს სამეცნიერო/აკადემიური წერის ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ამისათვის რეკომენდებულია აღნიშნული კურსის მოდიფიცირება ან ორ დამოუკიდებელ კურსად („აკადემიური წერა“ ცალკე და „ფუნქციური წერა“) ჩამოყალიბება, რომელთაგან პირველი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა, ხოლო მეორე -- არჩევითი სტატუსით დარჩება პროგრამაში.

- „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“ ამჟამინდელი სახით პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია წარმოდგენილი (იხ. ქვემოთ და **2.2** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაცია). მოცემული სახით წარმოდგენილი შინაარსი არ უზრუნველყოფს ცოდნას რომელიმე თანამედროვე კლასიფიკატორის (ICD-11 ან DSM5) მიხედვით ფსიქოლოგიური აშლილობების ეტიოლოგიის, გამოვლინებების, გავრცელების, მიმდინარეობის, განვითარებისა და კულტურული თავისებურებებისა და თერაპიული პერსპექტივების შესახებ. ორივე კურსის შინაარსი სრულად მიჰყვება იმ სავალდებულო საკითხავ ლიტერატურას, რომელიც მითითებულია სილაბუსებში. შესაბამისად, ლიტერატურის განახლება შინაარსთან დაკავშირებულ საკითხსაც მოხსნის.

შესაბამისად, რეკომენდებულია (**2.2** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინების პირობებში) კურსის შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ შესაბამისობაში იყოს დარგში არსებულ თანამედროვე ცოდნასთან, მიღწევებთან და ემპირიული კვლევების შედეგებთან.

- **საკითხავი ლიტერატურა**

  წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსების სავალდებულო საკითხავ ლიტერატურასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი იკვეთება: (ა) ზოგიერთი წყარო მოძველებულია, (ბ) ზოგიერთი წყარო არარელევანტურია, (გ) ზოგიერთ სილაბუსში წყარო არასრულად არის მითითებული ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება და (დ) რიგ კურსებში მითითებულია „ლექტორის მიერ მომზადებული მასალა“ ან „ხელნაწერი“, რაც ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის საკითხავი მასალის შინაარსზე. გარდა ამისა, (ე) სტუდენტებს არასაკმარისი მოცულობის საკითხავი მასალა ეძლევათ და (ვ) ზოგიერთ სილაბუსში არასწორი ანდა დასაზუსტებელი ტერმინოლოგიაა გამოყენებული. აღნიშნული საკითხები პროგრამისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან კითხვის ნიშანს აჩენს პროგრამის (და ამა თუ იმ კონკრეტული კურსის) სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ქვემოთ ნიმუშის სახით განხილულია ზოგიერთი სილაბუსი:

მოძველებული, არარელევანტური და/ან არასრულად მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალა

- სავალდებულო კურსის „სტატისტიკის გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით) სავალდებულო საკითხავ მასალად მითითებულია 1990 და 1974 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები, ხოლო დამატებით ლიტერატურაში – 12 სხვადასხვა რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი წყარო (სილაბუსის ტექსტში მითითების გარეშე)

- სავალდებულო კურსის (იხ. ასევე, 2.2 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაცია) „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“ სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა გამოცემის წლების გარეშეა მითითებული. ამასთან, უპირატესად კვირვების მიხედვით ლექტორის მიერ შესრულებული ნაშრომია მოცემული, რომელსაც, ასევე, არ აქვს გამოცემის თარიღი მითითებული. ამასთან, სავალდებულო საკითხავად მითითებულია დ. უზნაძის შრომების VI ტომი (1977 წელს გამოცემული II გამოცემა) და მ. საყვარელიძის „შიზოფრენიული აზროვნების ფსიქოპათოლოგია, რომელიც 1976 წლით თარიღდება.

- „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ კურსის ფარგლებში სტუდენტებს სავალდებულო საკითხავად ეძლევათ (ა) ლექტორის მიერ მომზადებული „ხელნაწერი“, რომლის შინაარსიც გაურკვეველია და (ბ) სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სახელმძღვანელო, რომელიც არ არის ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები (ასევე, იხ. ზემოთ, რეკომენდაცია ცალკეული კურსების შესახებ).

- „პოზიტიური ორგანიზაციული ფსიქოლოგიის“ კურსის სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად მითითებულია (ა) ინგლისურენოვანი წყაროები (შვიდი წყაროდან ხუთი, თუმცა ინგლისური ენა არ არის კურსის არჩევის წინაპირობად დადგენილი) და (ბ) დეილ კარნეგის „როგორ დავამარცხოთ შიში

და სტრესი“ (1944). ეს უკანასკნელი გარდა იმისა, რომ არ წარმოადგენს მეცნიერული ფსიქოლოგიის ფარგლებში შექმნილ ნაშრომს, თითქმის 80 წლის წინ არის დაწერილი.

სტუდენტებს არასაკმარისი მოცულობის საკითხავი მასალა ეძლევათ

წარმოდგენილ პროგრამაში შემავალი მთელი რიგი კურსების სილაბუსებში სტუდენტებს ძალზე მცირე მოცულობის საკითხავი მასალა ეძლევათ ყოველკვირეულად, განსაკუთრებით იმ კურსებში, რომლებიც საბაზისო ცოდნას უნდა უქმნიდეს მათ. სილაბუსებში მითითებული რაოდენობა კი (და ზოგ შემთხვევაში სახელმძღვანელოს ხანდაზმულობასთან კომბინაციაში) ნამდვილად ვერ მისცემს სტუდენტს საფუძვლიან ცოდნას, რომელზეც დააშენებს შემდგომში უფრო ვიწრო სპეციფიკური კურსების ფარგლებში ასათვისებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. მაგალითად:

- „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“ და „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2“ პირველი და ყველაზე ბაზისური კურსებია, რომლებიც სტუდენტს შეეთავაზება ფსიქოლოგიის დარგის გაცნობის მიზნით და ყველა იმ საფუძვლად მდებარე ცნებისა თუ მიდგომის ასათვისებლად, რომლებიც შემდგომი კურსების ასათვისებლად დასჭირდება. ორივე კურსის სილაბუსების შესწავლა აჩვენებს, რომ კურსის „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“ სტუდენტებს მთელი კვირით წასაკითხად ეძლევათ მინიმუმ 5 (ხუთი) გვერდი (I და XIII კვირა) და მაქსიმუმ 18 გვერდი (XII კვირა). ასევე, IV და XIV კვირის საკითხავი მასალა მხოლოდ 6 გვერდს შეადგენს.
- „პიროვნების ფსიქოლოგია“, რომელიც, ასევე, სავალდებულო, ბაზისური კურსია (ასევე, იხ. **2.2** ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში მოცემული რეკომენდაცია), სტუდენტებს სწავლების VII კვირას მხოლოდ 8 გვერდს სთავაზობს წასაკითხად (და ფარავს ისეთ სამ მოცულობით ავტორს, როგორებიც არიან იუნგი, ადლერი და ჰორნი), XI კვირას მხოლოდ 11 გვერდით შემოიფარგლება (ხუთფაქტორიანი მოდელის გასაცნობად), ხოლო VIII კვირას როჯერსის მიდგომის გასაცნობად მხოლოდ 13 გვერდი აქვთ სტუდენტებს წასაკითხი.
- რაც შეეხება კურსს „პათოფსიქოლოგია 1“, საკითხავი გვერდების რაოდენობა მხოლოდ პირველ სამ კვირაზეა მითითებული და დასამუშვებელი მასალა თითო კვირისთვის მხოლოდ 6-7 გვერდს შეადგენს.

ზოგიერთ სილაბუსში არასწორი ანდა დასაზუსტებელი ტერმინოლოგიაა გამოყენებული

- სავალდებულო კურსის „სტატისტიკის გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის გამოყენებით)“ სილაბუსში მოხსენიებულია ტერმინი „ჰი-კვადრატი“ და იგულისხმება χ^2 (ხი-კვადრატი). ასევე, SPSS (Statistical Package for Social Sciences) გაშლილია, როგორც „მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტი“ და „კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტი“, რაც არასწორია და სტუდენტები შეცდომაში შეყავს.
- კურსების „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“ სილაბუსში გვხვდება ტერმინები „ნევროზი“ და „ისტერია“, რომლების აღარ გამოიყენება ფსიქოლოგიური აშლილობების არც ერთ თანამედროვე საკლასიფიკაციო სისტემასა და ლიტერატურაში. ასევე, მაგალითად, „პათოფსიქოლოგია 1“ სილაბუსის III კვირაში გვხვდება ტერმინი „ეკზისტენციალური“ (სწორია „ეგზისტენციალური).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და საჭიროების შემთხვევაში (ა) ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით; (ბ) სტუდენტებს სავალდებულო საკითხავად მიეცეს ოპტიმალური საკითხავი მასალა, რომელიც რეალურად მისცემს მათ იმ ბაზისურ ცოდნას, რომელიც შემდგომი ცოდნის დაგროვების/შექმნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის არის საჭირო; (გ) დაზუსტდეს და ჩასწორდეს სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • ბაკალავრიატის სტუდენტებთან სტატისტიკის ბაზისური კურსი ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარ-ფსიქოლოგს მიჰყავს, რაც სტუდენტებისთვის ფსიქოლოგებისთვის საჭირო კუთხით ამ საგნის წარმატებით მიწოდების წინაპირობას წარმოადგენს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, მეტწილად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა გარკვეულწილად ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით), თუმცა აღნიშნული კურსების მოცულობა და, ასევე, ის ფაქტი, რომ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი ნაშრომის კურსი, კითხვის ნიშანს აჩენს ამ უნარების საკმარისად ფორმირების შესახებ, რაც შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენს (ასევე, იხ. **2.2** და **2.3** ქვესტანდარტები და შესაბამისი რეკომენდაციები). **პრაქტიკის კომპონენტი** წარმოდგენილია როგორც პროფესიული პრაქტიკის ცალკე კურსის (10 კრედიტი) სახით, ისე – გამჭოლად, ჩაშენებული პრაქტიკის სახით, პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში, რომლებიც შეთავაზებულია კლინიკური ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიისა და მოდულების ფარგლებში. რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს,** პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, პროფესიული პრაქტიკის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში. წარმოდგენილ პროგრამაში შეთავაზებული თეორიული და პრაქტიკული კურსების და, ასევე, პროფესიული პრაქტიკის, მიღმა, სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობაშ ჩართვის შესაძლებლობა აქვთ, რაც მათი ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. კერძოდ, მათთვის ხელმისაწვდომია საერთაშრისო მობილობა (Erasmus+), ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმენში, შეხვედრებსა და ტრენინგებში. ასე მაგალითად, „Erasmus+“-ის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის ორი სტუდენტი იმყოფებოდა პოლონეთის იან კოხონოვსკის უნივერსიტეტში. სტუდენტების კველვითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, როგორც ეს დეკლარირებულია წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში და არაერთგზის აღინიშნა კიდეც ვიზიტის მსვლელობისას სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან შეხვედრაზე. უსდ-ის სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ ისეთ მრავალფეროვან ღონისძიებებში, როგორებიცაა სხვადასხვა მოწვეული სტუმრის საჯარო ლექციები, სამეცნიერო პიკნიკი, ყოველწლიური საზფხული საერთაშორისო სკოლა, სტუდენტთა კონფერენციები, ბათუმის STEM ფესტივალი და, პანდემისს პერიოდში ორგანიზებული ვებინარები, მაგალითად, „COVID-19 --

გლობალური გამოწვევა და პერსპექტივები“. გარდა ამისა, უსდ-ში 2011 წლიდან ფუნქციონირებს მოზარდთა აკადემია სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლის ფარგლებშიც სალექციო და პრაქტიკულ კურსებს, უსდ-ის აკადემიურ პერსონალთან ერთად სტუდენტებიც უძღვებიან. ასევე, უსდ-ის სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის ფონდი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ დასაფინანსებლად წარმოადგინონ კვლევით და შემოქმედებითი პროექტები. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის პოზიციას 2.4 სტანდარტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აღნიშნული პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, შესაბამისად, რეკომენდაციები უცვლელი რჩება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებში, სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების, სტატისტიკის, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგის და განწყობის თეორიის, კოგნიტური ფსიქოლოგიის და აკადემიური წერის სილაბუსებში გაწერილი აქტივობები და დავალებები, რომლებიც კვლევითი და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. • საგანმანათლებლო პროგრამა; • ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგია; • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულები; • სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგებილ • მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან; • სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ანგარიში; • სასწავლო პრაქტიკის დებულება; • უსდ-ის ვებ გვერდი www.gruni.edu.ge
რეკომენდაციები: ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • პროგრამის კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებით გამდიდრება, იქნება ეს არსებული კურსების მოცულობის გაზრდა თუ ახალი კურსების დამატება (იხ. **2.2** და **2.3** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები); • კვლევითი ნაშრომის კურსის, საბაკალავრო ნაშრომის, ან მსგავსი კურსის დამატება პროგრამის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტების ჩამონათვალში, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ თეორიულ ცოდნას, კვლევის, საქმიანობისა და წერილობითი ნაშრომის შექმნის ბაზისურ უნარ-ჩვევებს და დაადასტურებს სტუდენტის კომპეტენტურობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით (იხ. **2.2** და **2.3** ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. სწავლების მეთოდები რელევანტურია და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: ლექცია და სემინარი; დისკუსია/დებატები, პრობლემური შეკითხვების დასმა; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ელექტრონული სწავლების ელემენტები; გონებრივი იერიში; პრაქტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; სიტუაციის მოდელირება, როლური და სიტუაციური თამაშები; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება. აღსანიშნავია, რომ მეტედ თეორიული კურსებისთვის (როგორიცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები, კოგნიტური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია) ლექციები, სემინარები, დისკუსიები და სხვა, მეტად თეორიულ მსჯელობაზე დაფუძნებული მეთოდები გამოიყენება, ხოლო ის კურსები, რომლებშიც ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტები გვხვდება (მაგალითად, კვლევის მეთოდები), მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებულ მეთოდებს (შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირება, გამოცდილებით სწავლება) იყენებენ. საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული მეთოდები ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის თქმით, ამის საჭიროება მიმდინარე პროგრამაზე ჯერ არ დამდგარა. სტუდენტებს იმის შესაძლებლობაც აქვთ, რომ ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ რჩევა, როგორც მათთვის საჭირო საკითხების, ისე წერილობით ნაშრომის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, ასევე, საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უსდ იძლევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საშუალებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლება-სწავლის, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ ინიშნება, შეხვედრების საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე „ნექსუსის“ ან საუნივერსიტეტო ელფოსტის საშუალებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. უსდ-შ არსებობს შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რომლის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი; • ელექტრონული პროტალი http://nexus.gruni.ge/student/usertable.php; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან. შესაბამისად, გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს 2 ფორმას (შუალედურს და დასკვნითს). ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ზოგადად მითითებული პროგრამის კურიკულუმში, დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. გამოყენებული შეფასების სისტემა თანხვედრაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე. უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, ნახოს თავისი ნაწერი, ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და, აგრეთვე, საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფის მიღებული შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას, მიღწეული შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობასა და ამ პროცესების სისტემატურ კონტროლს, რაც დეტალურად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამის ნაწილში. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს ცოდნას შეფასების მეთოდების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროესის მარეგულირებელი წესი; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან,

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე, უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. დაწესებულების ბაზაზე მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა „ნექსუსი“, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. გარდა ამისა, სტუდენტების ინფორმირების მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ელექტრონული მიმოწერის საშუალებებს და უნივერსიტეტის ვებგვერდს. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი საჭირო ინფორმაციას იღებს უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს მათთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხის თაობაზე. სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საჭიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ინტერვიუების დროს

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე. წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო ღონისძიებებსა და საერთასორისო პროექტებში, რასაც უსდ-ის წარმომადგენლები და მოწოდებული დოკუმენტაციაც ადასტურებს. უნივერსიტეტში გამართულად ფუნქციონირებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო არსებულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამაში ჩართული კურსების სილაბუსები; ▪ უსდ-ის ვებგვერდი; ▪ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ▪ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად**	**ნაწილობრივ**	**არ არის**

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს ფსიქოლოგიის მიმართულებით 40 პროფესორ-მასწავლებელი, კერძოდ, 14 აფილირებული (მათ შორის, 4 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი) და 26 მოწვეული არააფილირებული პროფესორ-მასწავლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფილირებულ პროფესორებს შორის ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მხოლოდ ორია: ერთი პროფესორი თავად პროგრამის ხელმძრვანელია, ხოლო მეორეს ასოცირებული პროფესორის პოზიცია უკავია. დანარჩენი აფილირებული პერსონალი არ წარმოაგდენს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროფესიულ ბირთვს, რაც, მიუხედავად პროგრამის ათწლიანი მიმდინარეობისა, პროგრამის მდგრადობის შესახებ აჩენს კითხვებს და გამოწვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

გარდა დასახელებული აკადემიური პერსონალისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 მოწვეული პედაგოგი, რომელთაც აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება სასწავლო თემატიკის მიმართულებით.

ამრიგად, ფსიქოლოგიის მიმართულებით მოწვეული პერსონალის რაოდენობა (26) აღემატება უსდ-ის აკადემიური პერსონალის რაოდენობას (ჯამში 14, მათ შორის, ფსიქოლოგიის მიმართულებით მხოლოდ 2), რაც მომავალში პროგრამის მდგრადობის შესახებ კითხვას ბადებს. ასევე, პროგრამის მდგრადობის შესახებ ფიქრის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან ისეთ ფუნდამენტურ კურსებს კითხულობენ მოწვეული ლექტორები, როგორებიცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფისოქლოგია, კვლევის მეთოდები და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაკლავრო პროგრამის პერსონალის კვლევითი საქმიანობის დამდასატურებელი პუბლიკაციები წარმოდგენილ დოკუმენტებში ძალიან მწირია, ბოლო 5-10 წლის

განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაცია პერსონალის მცირე ნაწილთან ფიქსირდება. აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სწავლების გარდა, ჩართულია სტუდენტების კონსულტირების, პრაქტიკისა და კვლევითი აქტიობის მართვის და პროგრამის განვითარების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, იგი არის ჩართული პროგრამის ფორმირებაში, განვითარებაში, დახვეწასა და განხორციელებაში. ამასთანავე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის პოზიციას 4.1 ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. უსდ სრულად იზიარებს წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ამიტომ რეკომენდაციები უცვლელი რჩება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ დამოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა; • უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში; • უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები.

რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას, ამ მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული და/ან სწავლების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, როგორიცაა: ტრენინგები სწავლების ინტერაქტიური მეთოდების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის სრულყოფის, სილაბუსების შემუშავების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოტეკო რესურსების გამოყენების თაობაზე. ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული დაფინანსება
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; • პერსონალის განვითარების აქტივობები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად, მატერიალურ რესურსებზე მსჯელობა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუების და ონლაინ ვიზიტის დროს ვიდეო ზარის საშუალებით სასწავლო და საბიბლიოთეკო სივრცეების დათვალიერების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. დაწესებულების მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი აღჭურვილობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აკადემიური პროცესის სრულყოფილად წარმართვა. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სისტემა, საგნებზე რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს ელექტრონული რესურსები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მატერიალურად უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერული მომსახურებითაც ისარგებლონ და ბეჭდვის მომსახურებითაც. ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში;

- სასწავლო პროცესის ელექტრონული ამრთვის სისტემის ადმინისტრატორთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური რესურსის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სტუდნეტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. ასევე, სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობით მიღებული თანხები. ამასთან, უნივერსიტეტი მოიზიდავს დამატებით სახსრებს მოქმედი კანონმდებლობიტ განსაზღვრული წესით. უნივერსიტეტი დაფინასებას იღებს საქართველს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან; აჭარის მთავრობისგან, აფხაზეთის მთავრობისგან და თბილისის მერიისგან.

წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი ასახავს პროგრამის საჭიროებებს, კერძოდ, შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მოიცავს, როგორც აკადემიური და მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს ძირითადად არეგულირებს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტები:

- „საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი“ განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი და პროგრამის აგების ძირითადი პრინციპები. დოკუმენტის დანართებია: „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესი“, „სწავლის შედეგების შეფასება“ და „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა“, რომელიც გულისხმობს შეფასების ასპექტების, შეფასების მეთოდების, მონაცემების წყაროების, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/ერთეულის და შესრულების პერიოდის განსაღვრას.
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას დაგეგმვის, გან-ხორციელების, შემოწმებისა და განვითარების მიმართულებით, განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების პრონციპებს და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვნები რელევანტური და საკმარისია, პროცედურები – გამჭვირვალე და რეგლამენტირებული, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები კი არის:

- დაგეგმილი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მიმდინარეობს ერთი კალენდარული წლისთვის შემუშავებული „ხარისხის მართვის რეგლამენტის“ შესაბამისად, რაც მოიცავს 4 ძირითადი მიმართულებით შესასრულებელ ამოცანებს. აღსანიშნავია, რომ უკვე შემუშავებულია 2022-2024 პერიოდისთვის (ა) პროგრამის შეფასების გეგნა, (ბ) „ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სამიზნე ნიშნულები“.
- კომპლექსური: მოიცავს პროგრამის შინაარსობრივ შეფასებას, პროგრამის განხოციელებისა და რესურსებით უზრუნველყოფის ასპექტების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლას, საუკეთსო პრაქტიკების გათვალისწინების მიზნით უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგების გამყენებას და ა.შ.
- თანამშრომლობითი: საგანამანათლებლო პროგრამას მართავს პროგრამის კომიტეტი, რომელიც ყალიბდება სკოლის ფარგლებში და აერთიანებს პროგრამის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან კურსდამთავრებულები და სტუდენტები

(კომიტეტის წევრ თანამშრომელთა არანაკლებ 20%, მათი არჩევა ხდება სკოლის სტუდენტთა საერთო კრებაზე, ხმათა უბრალო უმრავლესობით).

ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა შესწავლილი ასპექტი და პროცესი გულისხმობს სათანადოდ დოკუმენტირებას ამ მიზნით შემუშავებული ფორმების გამოყენებით, რაც მეტყველებს მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომების არსებობაზე.

ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა როგორ ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები, კერძოდ: პროგრამის თვითშეფასება მოახდინა სამუშაო ჯგუფმა (შემადგენლობა: სკოლის ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებლები, სტუდენტი და კურსდამთავრებული. ასევე, სხვადასხვა ფორმით ამ პროცესში მონაწილეობდნენ პოტენციური დამსაქმებლები. ინტერვიუს დროს ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ჯგუფის შექმნასა და თავიანთ ფუნქციებზე, აღნიშნეს და დადებითად შეაფასეს ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობა, მიღებული რეკომენდაციების და კონსულტაციების ხარისხი.

ამავდროულად, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა მეტი კონსულტირების საჭიროება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე როგორიცაა პროგრამის კომპონენტისთვის კრედიტის განსაზღვრის პრინციპები, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობა და არსი, დამოუკიდებელი მუშაობისთვის დადგენილი საათების რელევანტურობა და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ გარემოებებს და დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია უცვლელი სახით გადაიტანა „რჩევების“ ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი“ და დანართები;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „ხარისხის მართვის რეგლამენტი“;
- „პროგრამის შეფასების გეგნა“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა“ (2022-2024)
- თვითშეფასების დანართები (პროგრამის მიზნებსა და შედეგების რუკა; კურიკულუმის რუკა; პროგრამის შეფასების გეგმა; პროგრამის სამიზნე ნიშნულები; სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ანგარიში; პერსონალის დატვირთვის სქემა; პერსონალის პროდუქტიულობა; პროგრამის გარე შეფასებები; ანალოგიურ პროგრამებთან დადარება; ანგარიში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ; ანგარიში აკადემიური პერსონალის შესახებ; ანგარიში სტუდენტთა გამოკითხვის შესახებ და სხვ.);
- გამოკითხვების და ანგარიშების ფორმები;
- განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. 2018-2019 და 2019-2020, (დამატებით წარდგენილი);
- ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, 2018-2019 (დამატებით წარდგენილი);
- თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენ¬ლებ¬თან, პროგრამის ხელძღვანელთა და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია:

- გაუმჯობესდეს პროგრამის განმახორციელებელთა კონსულტირების ხარისხი, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მათ შორის, კრედიტის, მისი შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის განსაზღვრა, განსაზღვრის სისწორის შემოწმების მნიშვნელობა და ა.შ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია გარე შეფასება, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში პროგრამის ბოლო შეფასება განხორციელდა 2011 წელს - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (#255, 04.11.2011) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სხდომის ოქმის (#9, 04.11.2011) თანახ-მად, დაფიქსირდა რამდენიმე რეკომენდაცია (აქვე დავძენთ, რომ 2011 წელს ყველა გაცემული რეკომენდაცია ატარებდა სასურველობის ხასიათს და არ არსებობდა მათი შესრულების ვალდებულება). აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში რეკომენდაციების ნაწილმა დაკარგა აქტუალობა პროგრამის მოდიფიცირების შედეგად (მაგ.,პროგრამის მოდულებთან და კონცენტრაციებთან დაკავშირებული რეკომენდაციები), ნაწილი კი იყო გათვალისწინებული დაწესებულების მიერ (მაგ., „საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტში“ მიეთითა დამატებითი პროგრამის მოცულობა. ასევე, არსებობს დათქმა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ სურს დამატებითი პროგრამით სწავლა შესაძლებელია ამ პროგრამის სანაცვლოდ აირჩიოს სასწავლო კურსები თავისუფალი კომპონენტების ბლოკიდან; არცევითობა გათვალისწინებულია სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტში, უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა - შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას; პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების განვითარების მიზნით განხორციელდა დარგობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მოსაზრებების კვლევა, რომელშიც ყურადღება იყო გამახვილებული ისეთ საკითხებს, როგორიცაა ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, შრომის ბაზარზე ფსიქოლოგის სპეციალობის მოთხოვნადობა, კადრების შერჩევის მეთოდები, აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებული პრიორიტეტები, დასაქმებისთვის მნივნელოვანი ფაქტორები, დასაქმებისთვის აქტუალური კომპეტენციები და ა.შ.).

პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს საქართველოს უსდ-ს ორმა წარმომადგენელმა. მათ მიერ პროგრამის შეფასება აისახა ამ მიზნით შემუშავებულ ფორმაში, რომელიც მოიაზრებდა ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა, მაგალითად: პროგრამის მიზნები და შედეგები; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; მეთოდები; სასწავლო რესურსი. თითოეული შესაფასებელი ასპექტისთვის განსაზღვრულია შეფასების ქვეკომპონენტი, მათი შესატყვისი კრიტერიუმები და ქულობრივი ექვივალენტები. შემფასებლის მიერ მინიჭე-ბული ქულით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად ასლოსაა ერსებული ვითარება საუკეთესო შედეგთან. თითოეული ასპექტის შეფასება ასევე, მოიცავს შემფასებლის რეკომენდაციას ან დასკვნას. მთლიანად პროგრამის შეფასება სრულდება შემაჯამებელი დასკვნით, რომელშიც აღიწერება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები.

განხორციელებულ შეფასებებზე ინტერვიუს დროს ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და დამსაქმებლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იცნობენ და დადებითად აფასებენ პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასებები;
- ხარისხის უზრუნველყოგის სამსახურთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის სასურველია, რომ:

- პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის“ თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამას მართავს პროგრამის კომიტეტი, რომელიც ყალიბდება სკოლის ფარგლებში და აერთიანებს პროგრამის დისციპლინების წამყვან აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სტუდენტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსხური მოქმედებს ერთი კალენდარული წლისთვის შედგენილი „ხარისხის მართვის რეგლამენტის“ საფუძველზე. პროგრამის შეფასება კომპონენტების დონეზე გულისხმობს ყოველწლიურ შესწავლას (მაგ., სამიზნე ნიშნულებთან დადარება), მთლიანად პროგრამის შეფასება კი მოიცავს სამწლიან ცილს, რომელიც, ასევე, გულისხმობს პროგრამის დაძლევის (სწავლის შედეგების მიღწევის) შეფასებას, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.

მეტი სიცხადისთვის, დაწესებულებას ეთხოვა ექსპერტთა ჯგუფისთვის დამატებით წარედგინა ინფორმაცია ბოლო წლებში განხორციელებული შეფასებების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (2018-2019, 2019-2020) დგინდება, რომ შეფასებას დაექვემდებარა პროგრამის და მისი რესურსების მდგრადობა, პროგრამის ეფექტიანობა და პროგრამის სტატისტიკა. თთოეული შესაბასებელი ასპექტისთვის იყო განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და მათი ქულობრივი ექვივალენტები, რაც ამარტივებს მოთხოვ¬ნილ შესაბამი¬სო¬ბას¬თან დადერებისა და მიღწეულის შეფასებას. ასევე, შეფასების პროცესში განხორციელდა აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანო¬ბის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმა¬ნათ¬ლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების ანალიზი და სხვ. აქვე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ხორციედება ხარისხის მართვის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება (ბოლო შეფასება ჩატარდა 2018-2019 წელს) შემდეგი პარამეტრების მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევა, სტუდენტთა მობილობის კვლევა, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, დოკუმენტში ასახულია დინამიკა, მოცემულია დასკვნა და რეკოენდაციები. ხარისხის უზრუნველუფის მექანიზმების ეფექტიანობისთვის დაწესებულებას დადგენილი აქვს 2-წლიანი პერიოდი.

გარდა ზემოთ მითითებულისა, განხორციელდა დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პროგრამის

განმახორციელებლები, დამსაქმებლები) დამოკიდებულებების კვლვა. ასევე, შესწავლას და ანალიზს დაექვემდებარა პერსონალის დატვირთვა და პროდუქტიულობა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და საერთაშორისო მობილობა და ა.შ. პროგრამის თვითშეფასების პროცესში, ასევე, აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან მიმართებაში განისაზღვრა როგორც ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების მექანიზმები, რაც გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ყველა ზემოთ მითითებული შეფასების შედეგები ფორმალიზებულია ამ მიზნით შემუშავებული ფორმის შევსების გზით, რაც შესაძლებელს ხდის რამდენიმე წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების დადარებას და პროგრესის შეფასებას. პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით უცხოეთს პროგრამებთან დადარება. ამ მიზნით შეირჩა მერილენდის უნივერსიტეტი, ბიჰევიორალური და სოციალურ მეცნიერებათა კოლეჯი (აშშ) და სტენფორდის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და მეცნიერებათა სკოლა (აშშ). ორივე შემთხვევაში შესწავლილ იქნა „ფსიქოლოგიის“ პროგრამები მისანიჭებელი კვალისიკაციით „ფსიქოლოგიის ბაკალავრი“. ამ პროგრამებთან დადარების შედეგად დადგინდა მათი თანხვედრა (მსგავსება და განსხვავება) დაწესებულების პროგრამასთან, მათ შორის ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა: მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, სტრუქტურის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების არსებითი (შინაარსობრივი) შესაბამისობა. თითოეული კომპონენტის დადარების შედეგები ჯამდება კომპონენტის დასკვნაში, ხოლო მთლიანად პროგრამის თავსებადობის შედეგები აისახება შემაჯამებელ დასკვნაში. პროგრამებთან დადარება ასახულია ამ მიზნით შემუშავებულ ფორმაში, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება შედარებული ასპექტების და შედარების შედეგების შესახებ. ინტერვიუს დროს შესფასების პროცესის შესახებ დეტალურად ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის წარმოადგენლებმა, პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს სხვადასხვა შეფასებებში და გამოკითხვებში მონაწილეობა. ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მნიშვნელობაზე და ძლიერ მხარეებზე, დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს მისი აქტალობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „საგანმანათლბლო პროგრამების სტანდარტი“; • „ხარისხის მართვის რეგლამენტი“; • განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. 2018-2019 და 2019-2020, (დამატებით წარდგენილი); • ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება (დამატებით წარმოდგენილი); • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (2019-2020); • პროგრამის სამზნე ნიშნულები; • გამოკითხვების და ანგარიშების ფორმები; • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (2018-2020); • დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები) გამოკითხვის შედეგები; • აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შფასება (2018-2020); • ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის შეფასება (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა/ინტერვიუ); • სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების შესახებ (2020-2021 სასწავლო წელი); • პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში; • შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოთხოვნების კვლევის ანგარიში (2021); • ანლოგიურ პროგრამებთან დადარება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან განმახორციელბლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, რომ: • განხორციელდეს პროგრამის დადარება საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს მათთან თანხვედრის (მსგავსებისა და განსხვავებების დადგენა) დადგენას და ამის შესახებ პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების (მათ შორის, მობილობის მსურველების) ინფორმირებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ფირცხალავა



თამარ გვიანიშვილი

გიორგი შიოშვილი